საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი **№ 12**

ქ.თბილისი 2.03.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართაველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფეროსი;
პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;
გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანზორ ბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
გაიოზ ფირცხალავა - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი.

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
ანანო გორგოძე - შეფასების სამსახურის უფროსი

დავით წასიძე - ხარისხის მართვის სპეციალისტი

ნინო ივანიშვილი -ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის დეკანი
ნინო მახვილაძე - ლექტორი
ნინო ჯაფიაშვილი - ლექტორი
ნინო ორჯონიკიძე - ლექტორი
ანა ქეშელაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
ლევან კურცხალია - ადმინისტრაციის კოორდინატორი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
ნანა იაშვილი
ია კუპატაძე
ანჟელა აბულაძე
თორნიკე გურული
ენდი ჭელიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:50 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 11 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ელიზბარ ელიზბარაშვილმა.
სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - გიორგი თურქიას.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს

მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27[5] მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ციფრული მედია და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობათა საინჟინრო აღჭურვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობათა საინჟინრო აღჭურვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე, ვინაიდან დაწესებულების მიერ მოთხოვნილ იქნა ადმინისტრაციულ წარმოების შეწყვეტა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ გაიზიარა დაყენებული შუამდგომლობა და დაამტკიცა ახალი დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ციფრული მედია და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	არქიტექტურის ბაკალავრი 1101
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ დასკვნაში ასახულ ძირითად ასპექტებზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მიმდინარეობისას გამოკვეთილ იქნა გარკვეული რეკომენდაციები, რამაც საბოლოო ჯამში პროგრამას განუსაზღვრა ნაწილობრივი შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. პროგრამა შემოტანილი იყო რეაკრედიტაციის მიზნით, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის უმთავრესი სურვილი მდგომარეობდა იმაში, რომ პროგრამა ყოფილიყო დახვეწილი და არ შეეფერხებინა სტუდენტთა პროგრამით დასახული საბოლოო შედეგების მიღწევა. ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი შენიშვნა ეხებოდა პროგრამის შემოქმედებით ხასიათს, დაწესებულების ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე გაცემული იქნა რჩევა სტუდიური სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფდა თემატიკის ფართო რაკურსით ხედვას. ვინაიდან პროგრამა გახლდათ საბაკალავრო საფეხურის, საჭირო იყო თეორიული კომპონენტის გაძლიერება. ჯგუფის რეკომენდაციები განსაზღვრული იყო იმისათვის, რომ დაწესებულებაში შექმნილიყო გარემო, სადაც სტუდენტი იოლად შეძლებდა ადაპტაციას.

ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინება არ საჭიროებდა ხანგრძლივ პერიოდს შინაარსიდან გამომდინარე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აუცილებელი იყო ბიბლიოთეკის გაძლიერება თანამედროვე ლიტერატურით, საჭირო იყო პროგრამის გაძლიერებაში ჩართულიყვნენ არქიტექტურის ლექტორები, რომლებიც ასოცირებულნი იქნებოდნენ უნივერსიტეტთან. ამჟამად პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ძირითადად წარმოდგენილი იყო საინჟინრო მიმართულებიდან. სასურველი იქნებოდა თუ სილაბუსების ავტორები თავად განახორციელებდნენ კონკრეტული საგნების სწავლებას.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული ნაკლებად მეტყველებდა დაწესებულების ხარვეზზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში არ ფიქსირდებოდა მსგავსი პრაქტიკა. ასევე დამატებით აღინიშნა, რომ რეკომენდაცია სტუდიურ სწავლებასთან დაკავშირებით ხელს შეუწყობდა სტუდენტებს და დაეხმარებოდა მათ ტექნიკურ დარგებს შორის კავშირის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

სხდომის თავჯდომარემ, განაცხადა, რომ წინა წლებში საქართველოში არსებული არქიტექტურის სკოლები ფუნქციურად სხვადასხვა დატვირთვას ასრულებდნენ, ხოლო მოცემული პროგრამა გარკვეულწილად ჰგავდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ნამდვილად გახლდათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მსგავსი ვინაიდან მოიცავდა საინჟინრო დარგებს.

ექსპერტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ საქართველოში არსებული არქიტექტურის ყველა სკოლა თანაბარი კომპეტენციის არქიტექტორებს გამოუშვებდა, ერთნაირი პროფესიული პროფილით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ არ იგულისხმებოდა ექსპერტების მიერ პროგრამის დაბალანსებაში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ იგულისხმებოდა ბალანსი დისციპლინებს შორის. დაწესებულება სტუდენტს სთავაზობდა მეორადი ე.წ მაინორი პროფესიის არჩევას, თუმცა სტუდენტი შეთავაზების ფარგლებში მაინც რჩებოდა დაწესებულების მიერ მიღებული პრიორიტეტის ქვეშ. არჩევითი კურსებით საბოლოო ჯამში გზა მაინც ინჟინერიისაკენ მიდიოდა, რაც ფართო არჩევანის შესაძლებლობას ზღუდავდა. საჭირო იყო ძირითადი და მეორადი პროფესიების იმგვარად დაბალანსება, რომ მომხდარიყო თანამედროვე არქიტექტორის აღზრდა და შესაბამისი უნარების გამომუშავება.

საბჭოს წევრი, ირინე გოცირიძე დაინტერესდა, მიიჩნევდნენ თუ არა ექსპერტები, რომ წინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო დაწესებულების მიერ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო და დაამატა, რომ დაწესებულება ცდილობდა სუბსიდიების მოზიდვასაც და აშენებდა თანამედროვე კამპუსს, ამასთანავე გეგმავდნენ სტუდიური სწავლების შემოღებასაც.

საბჭოს წევრი, ნატო გენგიური დაინტერესდა, გულისხმობდა თუ არა ექსპერტთა შენიშვნა აკადემიურ პერსონალთან მიმართებაში, იმას რომ დაწესებულების აკადემიური პერსონალი არ იყო დაკომპლექტებული არქიტექტორებისაგან.

ექსპერტმა განაცხადა, რომ არქიტექტურის საგნებს კითხულობდნენ მხოლოდ მოწვეული ლექტორები და არა აფილირებული პერსონალი, სწორედ ეს წარმოადგენდა ყველაზე მნიშვნელოვანს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს შორის.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმდინარე წელს დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა პროგრამების გადარჩევა და განსაზღვრა რომელი პროგრამა უნდა დაეტოვებინათ და რომელი არა. მისი განცხადებით, ის მიიჩნევდა რომ აღნიშნული პროგრამა იმსახურებდა არსებობის გაგრძელებას, რასაც ადასტურებდა ბაზრის მოთხოვნაც, რაც დასტურდებოდა ბაზრის კვლევითა და რეგიონის რეალობით. ექსპერტთა რჩევები დასაფასებელი და მისაღები იყო, რადგან ემსახურებოდა პროგრამის განვითარებას. დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა შენიშვნას აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით. 2018 წელს დაწესებულება გეგმავდა კონკურსის გამოცხადებას აკადემიური პერსონალის ასაყვანად. იგეგმებოდა არქიტექტურის სფეროს პერსონალის აყვანა და მათი აფილირება, მათ შორის იქნებოდნენ უკვე არსებული პერსონალის ნაწილიც.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოხდებოდა პროგრამის მხარდაჭერა მატერიალურ-ტექნიკური კუთხითაც. ამასთანავე გაითვალისწინებდნენ ექსპერტთა რეკომენდაციას დისციპლინების დაბალანსების შესახებაც. დაწესებულების მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევა ცხადყოფდა რომ აღნიშნული პროფესია საჭირო იყო ბაზრისათვის. მათი კურსდამთავრებულები აქტიურად საქმდებოდნენ, ხოლო კომპანიები დამამთავრებელი კურსებიდან უკვე ითხოვდნენ წარჩინებულ სტუდენტებს. ამასთანავე აღსანიშნავი იყო დაწესებულების კავშირები და კომუნიკაცია პროგრამის ირგვლივ ესპანეთის და ამერიკულ უნივერსიტეტებთან.

წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება საგნების ირგვლივ არსებული საკითხების შესახებ და განაცხადა რომ ფოტოშოპის საგანი, რომელიც ნახსენები იყო ექსპერტთა მიერ დასკვნაში, არსებობდა თავად საგნის ლექტორის მოთხოვნით. რაც შეეხებოდა არქიტექტურული ფიზიკის კურსს, კურსი ცალკე არ იკითხებოდა თუმცა თემატიკა იფარებოდა სხვა კურსებით და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული საკმარისი არ აღმოჩნდებოდა მოხდებოდა საგნის ცალკე გამოყოფა. ყველა კურსს თან ახლდა პროექტი, გარდა ქალაქდაგეგმარებისა, სადაც ლექტორის გადაწყვეტილებით აქცენტირება პრაქტიკულ მხარეზე გაკეთდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განხილული იქნა ის პროცენტული ნაწილი, რომელიც ეთმობოდა საგნებს მიმართულებების მიხედვით, მაგალითად 22% - საუნივერსიტეტო საგნებს, 40%- არქიტექტურის მიმართულებას და აშ. ინჟინერიას ეთმობოდა მხოლოდ 6% და წარმოდგენილი საგნები აუცილებელი იყო არქიტექტურის სტუდენტებისათვის. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სპეციალური გეგმა, სადაც გაწერილი იყო ყველა საჭირო ჩასატარებელი აქტივობა.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა, დაახლოებით რა დრო დასჭირდებოდათ მათ გეგმის სისრულეში მოსაყვანად.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საჭირო იყო 3 ან 4 თვე.

სხდომის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების საპასუხო არგუმენტირებულ პოზიციაში საუბრობდა მზაობაზე გადასულიყვნენ სტუდიურ სწავლებაზე, რაც გარკვეულ ცვლილებებს გამოიწვევდა პროგრამაში და დაინტერესდა რაში იქნებოდა გამოხატული აღნიშნული ცვლილებები.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრობლემა არ შეიქმნებოდა თუ პროექტების წილს, რომლებიც ისედაც თან ახლდა ყველა კურსს და ასახული იყო შეფასების სისტემაშიც, ცალკე გამოიტანდნენ. ამასთანავე დაიხვეწებოდა უკვე არსებული ლაბორატორიები, რომელთა მოწყობაც იგეგმებოდა.

ექსპერტმა განმარტება გააკეთა საგნების ირგვლივ და განაცხადა რომ მათი რეკომენდაცია მდგომარეობდა გარკვეული საგნების გაძლიერებაში, მაგალითად - თანამედროვე არქიტექტურა და მწვანე არქიტექტურა, ხოლო ფოტოშოფი შესაძლოა გადასულიყო არჩევით საგნებში, რადგან თანამედროვე პირობებში სტუდენტებს სულაც არ უჭირდათ მსგავსი ცოდნის დამოუკიდებლად მიღებაც. პროგრამის მიზანი უნდა ყოფილიყო გაეზარდა არქიტექტორი რომელიც გემოვნებისა და იდეის მატარებელი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ მთავარი პრობლემა არქიტექტურაში იყო მისი დანაწევრებულობა, რაც გამოიხატებოდა მაგალითად კონსტრუქტორს და არქიტექტორს შორის დისტანციით. საჭირო იყო არქიტექტორს ჰქონოდა კომპლექსური აზროვნება, რის ჩამოყალიბებაზე ზრუნვაც ამ შემთხვევაში კურიკულუმის მიხედვით არ იკვეთებოდა. არქიტექტორისათვის მთავარი იყო დაენახა რეალობა, სცოდნოდა ბაზარი და ინოვაციები.

საბჭოს წევრი, ნატო გენგიური შეეხო ისტორიის დისციპლინების ირგვლივ არსებულ საკითხს და განაცხადა, რომ აღნიშნული თვალსაზრისით სილაბუსები ცალსახად საჭიროებდა გადახედვას, მითუმეტეს იმ პირობებში რომ პროგრამის მიზნები მოიცავდა ეპოქების ცოდნასაც. ისტორიას არ ეთმობოდა შესაბამისი დრო. საჭირო იყო ოცდამეერთე საუკუნის სწავლება, რადგან სტუდენტს აუცილებლად მოუწევდა არსებული, თანამედროვე ტენდენციების ცოდნა და გათვალისწინება, ამასთანავე საჭირო იყო კულტურულ მემკვიდრეობაზე აქცენტირება. დიდი ეპოქები გაწერილი იყო მცირე საათებით, მაგალითად ქართული - სრულდებოდა მეთორმეტე საუკუნით. ამასთანავე არჩევითი საგანი - ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორია წარმოადგენდა ორ დიდ სფეროს, რომელიც 6 კრედიტში ვერ ჩაეტეოდა, რადგან ამ მოცემულობით სტუდენტს გაუჭირდებოდა მიეღო ის ცოდნა რაც მაგალითად დააკლდებოდა ძირითადი კურსებიდან.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს და განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო მეტი მუშაობა განხორციელებულიყო ისტორიის მიმართულებით, თუმცა ისტორიის საგნებს არ უნდა გადაეჭარბებინათ დარგობრივი საგნების წილი. ამასთანავე კურსების დასაწყისში ხდებოდა ლექტორების მიერ სტუდენტებისთვის ისტორიული მიმოხილვის მიწოდება. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს აუცილებლად გადასცემდნენ განსახილველად სპეციალისტებს და მიიღებდნენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა შევსებული იყო თუ არა ყველა კურსი.

წარმომადგენელმა დადებითად უპასუხა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა მიმართულებით საქმდებოდნენ მათი კურსდამთავრებულები.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 70% კურსდამთავრებულებისა დასაქმებული იყო, ხოლო დასაქმების ადგილს ძირითადად საკონსტრუქტორო ბიუროები წარმოადგენდნენ.

სხდომის თავჯდომარე დაინტერესდა აკადემიური პერსონალის ცვალებადობის დინამიკით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალი იშვიათად იცვლებოდა, ასევე არსებობდა პერსპექტივა, რომ სამომავლოდ მათ დაეკავებინათ აფილირებული პერსონალის ადგილი.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენად მოასწრებდა დაწესებულება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე რეკომენდაციების გათვალისწინებას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე რეკომენდაციების გათვალისწინება შესაძლებელი იყო.

16:50 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 17: 16 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -1

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 27[6] მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაცია ენიჭებოდა 6 თვიანი მონიტორინგის პირობით. დაწესებულებას 6 თვის მანძილზე უნდა ეზრუნა რეკომენდაციების გათვალისწინებაზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო აკადემიური

პერსონალის დარგის სპეციალისტებით გამდიდრებაზე და ისტორიის სილაბუსების დახვეწაზე.

2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ციფრული მედია და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მედია და კომუნიკაცია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი 0703
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ.

სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს- დიმიტრი ჯაფარიძეს.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ დასკვნაში ასახულ ძირითად ასპექტებზე.

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის ფარგლებში ჯგუფმა დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაეცნენ დამატებით დოკუმენტაციას, რაც ცხადყოფდა, რომ დაწესებულებას გააჩნდა სრული რესურსი პროგრამის განხორციელებისათვის. ექსპერტი თავად წარმოადგენდა დამსაქმებელს აღნიშნული მიმართულებით, შესაბამისად ადასტურებდა, რომ პროგრამა გახლდათ ინოვაციური და თანხვედრაში მოდიოდა ბაზრის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა რეზიუმეს სახით მოკლედ ისაუბრა რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ძირითადი აქცენტები გაკეთებულ იქნა პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების პარალელურად თეორიული სწავლების გაძლიერებაზე, რაც მნიშვნელოვანი იყო საბაკალავრო დონეზე. სასურველი იყო კურსის ინდივიდუალურობის გათვალისწინებით შეფასების კრიტერიუმების კურსთან შესაბამისობაში მოყვანა, რათა ყოფილიყო განსხვავება საგნებს შორის შეფასებაში და არ დარჩენილიყო წარმოდგენა რომ ყველა საგანი იდენტური შეფასების სისტემას ექვემდებარებოდა. ამასთანავე აუცილებელი იყო მედია ფსიქოლოგიისა და მედია კომუნიკაციის გაძლიერება და სტუდენტებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს სწავლება, რაც მათ პროფესიულ საქმიანობაში გამოადგებოდათ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნებოდა შესაძლო რისკების დადგენაც, პროგრამის ფინანსური მდგრადობისათვის.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, ვინაიდან ექსპერტმა განაცხადა, რომ თავად წარმოადგენდა დამსაქმებელს, სად დაასაქმებდა ის მოცემული პროგრამის კურსდამთავრებულს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ის გახლდათ კომპანია PSP-ს მარკეტინგის დირექტორი და ეძებდა კანდიდატებს, რომლებიც გათვითცნობიერებულნი იქნებოდნენ ციფრულ მედიაში და რომლებიც დასაქმდებოდნენ სოციალური მედიის მენეჯმენტის მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა ექსპერტთა რეკომენდაციაზე თეორიულ სწავლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ შენიშვნა ეხებოდა ერთ კურსს - მასობრივი კომუნიკაციების შესახებ, სადაც მოხდა თეორიის დაზუსტება და სილაბუსის განახლებაც. რაც შეეხებოდა კომუნიკაციის ფსიქოლოგიას, იმდენად რამდენადაც აღნიშნული კურსი შედიოდა რამდენიმე პროგრამაში, გადაწყდა მისი სტუდენტებისათვის შეთავაზება თავისუფალ, არჩევით საგნად. სამართლებრივი საფუძვლების სწავლებასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ძირითად საგნებში ჰქონდათ მედია სამართლის კურსი და რადგანაც დამატებით გააჩნდათ კავშირები შესაბამის პიროვნებებთან, შესაძლებელი გახდებოდა იმ თემების დაფარვაც, რასაც მოცემულ მომენტში მედია სამართლის კურსი არ ითვალისწინებდა. ხოლო რაც შეეხებოდა მედია სოციოლოგიის დამატებას, მიუხედავად იმისა რომ თემატიკა იფარებოდა მასობრივ კომუნიკაციებში, აღნიშნული საკითხის განხილვა მაინც იგეგმებოდა საბჭოზე.

წარმომადგენელმა შეფასებებთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ ლექტორები ყოველთვის დეტალურად უხსნიდნენ სტუდენტებს შეფასების სისტემას და დავალებებზე აძლევდნენ ინსტრუქციებს ვინაიდან შესაძლოა მოცემულობა ზოგჯერ ცვალებადი ყოფილიყო, რაც ხშირ შემთხვევაში დეტალურად ვერ აისახებოდა სილაბუსში. რაც შეეხებოდა პროგრამის ფინანსურ მდგრადობას, 20 სტუდენტის მიღებაც საკმარისი იქნებოდა

პროგრამის განსახორციელებლად. თუ გახდებოდა აუცილებელი დაწესებულება მზად იყო განეხილა დოტაციის საკითხი.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო სავალდებულო და არჩევით საგნებს შეეცვალათ ადგილი. მაგალითად უმჯობესი იქნებოდა არჩევითი ბლოკიდან მედიცინის და კულტურის გაშუქება გადასულიყო სავალდებულო ბლოკში, ისევე როგორც საგამომძიებლო ჟურნალისტიკა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საფუძვლები და კიბერუსაფრთხოება. საპირისპიროდ, ეფექტური კომუნიკაციის უნარი გადასულიყო არჩევით ბლოკში, ისევე როგორც პროექტის მენეჯმენტი, რადგან საბაკალავრო დონეზე ნაწილობრივ უტოპიურად ჩანდა იმის განსაზღვრა, რომ სტუდენტები პროექტებს თავად დაგეგმავდნენ და უხელმძღვანელებდნენ. ამასთანავე, გაუგებარი იყო სტუდენტებისათვის ორი სემესტრის განმავლობაში მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობის ან კლასიკური სტატისტიკის სწავლების საჭიროებაც.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტატისტიკა კავშირში იყო ჟურნალისტიკასთან, შესაბამისად ისწავლებოდა იგი სავალდებულო ბლოკში.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ აღნიშნულს ვერ ხედავდა სილაბუსიდან.

წარმომადგენელმა ძირითად კურსებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თავიდანვე გათვალისწინებული იყო გარემოება, რომ შესაძლოა პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს არა ჟურნალისტიკის, არამედ მაგალითისათვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით აერჩიათ საქმიანობა, ხოლო პროგრამა შესაბამისად ზრუნავდა იმ უნარების გამომუშავებაზე, რომელიც კავშირში არ იქნებოდა მხოლოდ ჟურნალისტიკასთან, ხოლო არჩევითი საგნები სტუდენტებს პროფესიის დავიწროების საშუალებას აძლევდა. რაც შეეხებოდა მსოფლიო სახელოვნებო მემკვიდრეობის ორი სემესტრის მანძილზე სწავლებას, აღნიშნული საჭირო იყო ლოგიკური აზროვნების განვითარებისათვის, რათა დაედგინათ ლოგიკური კავშირები მაგალითად მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურასა და მხატვრობას შორის, მომხდარიყო ტექსტისა და ვიზუალის ერთმანეთთან დაკავშირება.

წარმომადგენელმა, ნინო ჯაფიაშვილმა განმარტა, რომ არჩევითი კურსების მოცემულობა საშუალებას აძლევდა სტუდენტებს განევითარებინათ „რეპორტინგის" უნარები იმ მიმართულებით, რაც შედიოდა მათ ინტერესში. პროგრამა ითვალისწინებდა ტენდენციას, რომ სპეციალიზაცია ხდებოდა არა ფართოდან ვიწროსკენ, არამედ პირიქით. ის საშუალებას აძლევდა შესაბამისი ცოდნა მიეღოთ იმ სტუდენტებსაც, რომლებიც მომავალში აღარ იქნებოდნენ დაინტერესებულნი უშუალოდ ჟურნალისტიკით.

სხდომის თავჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა დაწესებულებაში ცალკე სპეციალობა ჟურნალისტიკის სახით.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხორციელდებოდა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა და სამომავლოდ იგეგმებოდა სამაგისტრო პროგრამის შექმნაც.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად მოხერხდებოდა სტუდენტების მხრიდან კრედიტების მოცემულ რაოდენობაში წარმატებით აეთვისებინათ როგორც ჟურნალისტიკა, ასევე ციფრულ ტექნოლოგიებში სათანადო ცოდნის მიღება.

წარმომადგენლის განცხადებით, ოთხი წლის მანძილზე მათ მიზანს წარმოადგენდა ციფრული ცნობიერების ამაღლება ჟურნალისტებში იმისათვის, რომ კურსდამთავრებულებს არ შეშინებოდათ ალგორითმებთან მუშაობა და ონლაინ მოდელების მორგება.

საბჭოს წევრი, ირინე გოცირიძე დაინტერესდა აღნიშნული პროგრამა ხომ არ გახლდათ რომელიმე სხვა დაწესებულების პროგრამის ანალოგი, ვინაიდან ციფრულ მედიაში ბევრი საბაკალავრო პროგრამა არსებობდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება იყო International General Training-ის წევრი. 2015 წელს ჩატარებულ იქნა სამდღიანი კონფერენცია, უცხოური უნივერსიტეტების მონაწილეობით, რომლის დროსაც უნივერსიტეტებმა და მათ შორის ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა წარადგინეს პროგრამის პროექტები, მათმა პროექტმა დაიმსახურა დიდი მოწონება, ფინეთის უნივერსიტეტისაგან მიიღეს შეთავაზება, რომ გამოგზავნიდნენ 4 სტუდენტს, თუმცა მათი მიღება ვერ მოხერხდა, რადგან პროგრამა ჯერ არ ფუნქციონირებდა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ პროგრამა ქართულენოვანი იყო, როგორ აპირებდნენ ფინელი სტუდენტების მიღებას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ორ წელიწადში იგეგმებოდა პროგრამის ინტერნაციონალიზაცია. თანამედროვე ტენდენციების მიხედვით კომპანიებს უკვე ჰყავდათ საკუთარი ჯგუფები პროგრამირებისათვის და ვებ დიზაინისათვის, პროგრამა ამ მოცემულობასაც ითვალისწინებდა და აღნიშნული სფეროები ისწავლებოდა.

სხდომის თავჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, ჟურნალისტიკის სფეროს წინაშე იდგა ისეთი დიდი პრობლემები, როგორიც იყო მედიაწიგნიერება და ამ შემთხვევაში მედიასაც ეკისრებოდა გარკვეული როლი, არსებულ „ზღვა მასალაში", რომელთან ურთიერთობაც საზოგადოებას უხდებოდა საჭირო იყო სანდო მასალის არსებობაც. მას აინტერესებდა ასწავლიდნენ თუ არა ისინი საკუთარ სტუდენტებს წყაროების საჭირო წესითა და საჭირო რაოდენობით მითითებას.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „რეპორტინგის" საწყისებში ისწავლებოდა წყაროების მითითება შესაბამისი წესებით და რაოდენობებით. არჩევითი საგნები სწორედ იმაზე იყო გათვლილი, რომ მომავალ ჟურნალისტებს ესწავლათ წერა იმ სფეროების შესახებ, რომლებშიც თავად იყვნენ დაინტერესებულნი, იქნებოდა ეს ბიზნესი, ეკოლოგია, მედიცინა თუ სხვა. სტუდენტები ღრმად შეისწავლიდნენ იმას, თუ ინფორმაციის რა სახით გადაცემა იყო საჭირო კონკრეტული დარგების შემთხვევაში. მსგავსი კონკრეტიკა სპეციალობებში შესაძლებელს გახდიდა ხარისხის გაუმჯობესებას.

18:04 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:10 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ციფრული მედია და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 27^6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ციფრული მედია და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 18:20 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ელიზბარ ელიზბარაშვილი

სხდომის მდივანი

გიორგი თურქია

დიმიტრი ჯაფარიძე